

სამაგისტრო პროექტი: სამედიცინო შეცდომები და მათგან გამოწვეული
ლეტალური შედეგები

თამარი სესკურია
გიორგი ამბროლიანი
გვანცა გოჩიტაშვილი
ჯგუფის ნომერი - 3

*სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში*

პროექტის ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, (2019)

აბსტრაქტი

მსოფლიოში ძალზედ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს სამედიცინო შეცდომები და ამ შეცდომებისგან გამოწვეული ზიანი რომელიც ადგება მთლიანად საზოგადოებას. სამედიცინო შეცდომებისგან გამოწვეული ლეტალური შედეგები ძალიან დიდია ისეთ განვითარებულ ქვეყნებშიც კი როგორც არის ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირის წევრი ქვეყნები და ა.შ.

სამედიცინო შეცდომებით გამოწვეული ლეტალური შედეგი და მიყენებული ზიანი ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც. ქვეყანაში არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდებოდა არსებული ვითარების ანალიზი და შეფასება. სახელმწიფოს არ გააჩნია კონკრეტული სტრატეგია, თუ სამოქმედო გეგმა, რათა გაიზარდოს პაციენტთა უსაფრთხოების დონე.

წინამდებარე ნაშრომში კვლევა ჩატარებული გვაქვს, 11 მრავალპროფილურ კლინიკაში საქართველოს მასშტაბით. გამოკითხული გვყავს 30 ექიმი და 20 მენეჯერი. კვლევის შედეგად გამოვარკვიეთ ის, ძირითადი ფაქტორები რომლებიც ბიძგს აძლევს მედ პერსონალს, დაუშვან შეცდომები.

კვლევის ფარგლებში შევაფასეთ თუ როგორი უნდა იყოს შეცდომის ჩამდენი მედიკოსის მიმართ გატარებული ღონისძიებები. განვიხილეთ როგორი მიდგომებია ამ მხრივ საზღვარგარეთ და რა იქნება უფრო ეფექტური მედიკოსებისთვის, რომ ამაღლდეს მათი მოტივაცია, მეტი ყურადღებით მოეკიდონ დაკისრებულ მოვალეობებს.

ნაშრომში ჩამოვყალიბეთ რეკომენდაციები იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას.

Abstract

The most actual problem in the healthcare industry in the world is the medical errors and the damage caused by these mistakes that will totally reach the public. The lethal effects caused by medical errors are very high in developed countries such as the United States, the EU member states and so on.

The lethal outcome caused by medical errors and the damage caused by it is very important for Georgia too. There are no official statistics in the country to analyze and evaluate the current situation. The state does not have a specific strategy or action plan to increase patient safety levels.

In this paper we have conducted research in 11 multi-profile clinics across Georgia. We have interviewed 30 doctors and 20 managers. As a result of the research we found out that the main factors that give rise to Medicare personnel, allow errors.

Within the scope of the survey, we evaluated the policy which should be used against the perpetrator. We have discussed how these approaches are abroad and what will be more effective for the doctors to increase their motivation to pay more attention to their duties.

In the paper we have made recommendations on the issues that need improvement.